

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის

ანგარიშგებები დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნასთან ერთად

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. ამონაგები მომსახურებიდან	11
6. სხვა შემოსავალი	11
7. თანამშრომელთა სარგებელი	12
8. შეძენილი მომსახურება	12
9. ფინანსური ხარჯი	12
10. ძირითადი საშუალებები	13
11. არამატერიალური აქტივები	14
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
13. ფული და ფულის ექვივალენტები	15
14. კაპიტალი	15
15. გრძელვადიანი სესხები	16
16. გადასახადები	16
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულება	16
18. პირობითი ვალდებულებები	17
19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	20
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	21
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	22
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	22
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	22
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	22
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარა.ქომ“-ის ხელმძღვანელობასა და მეწილეებს

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს; და
- კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

სხვა საკითხები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 19-24 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 7,981 ათას ლარს. ამასთან ერთად კორონავირუსის გავრცელებამ შეაფერხა ბიზნესი და ეკონომიკური აქტივობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გადაიდო და გაუქმდა მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები. კომპანიის ოპერაციების დაფინანსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს კაპიტალში შენატანები და სასესხო ვალდებულებები.

ჯგუფი საკუთარი ოპერაციებით სრულად ვერ აფინანსებს მიმდინარე დანახარჯებს და ამ ეტაპზე იყენებს დაფინანსების გარე წყაროებს და დამოკიდებულია მომავალში დაგეგმილი პროექტების წარმატებაზე. ეს მოვლენები და პირობები მიუთითებს, რომ ძირითადი საოპერაციო საქმიანობის გაუმჯობესება არსებითად არის დამოკიდებული მომავალზე. მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას, მანამდე კი დედა კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი უზრუნველყოს საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისთვის საჭირო ფინანსებით.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად

მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძველის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი

დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

3 ივნისი, 2021

თბილისი, საქართველო

დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

3 ივნისი, 2021

თბილისი, საქართველო



შპს აჭარა.ქომ

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019*
ამონაგები მომსახურებიდან	5	9,689	460
სხვა შემოსავალი	6	46	-
სულ ამონაგები		9,735	460
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,375)	(2,964)
თანამშრომელთა სარგებელი	7	(3,335)	(1,466)
შეძენილი მომსახურება	8	(857)	(212)
საიჯარო ხარჯები		(339)	(120)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები		(267)	(112)
სხვა ხარჯები		(97)	(110)
საოპერაციო ზარალი		(1,535)	(4,524)
ფინანსური ხარჯი	9	(680)	(328)
საკუროსო მოგება/(ზარალი)		(1,065)	151
ზარალი დაბეგვრამდე		(3,280)	(4,701)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(3,280)	(4,701)

*2019 წლის 31 ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2021 წლის 3 ივნისს:


 გიორგი გრუიძე
 დირექტორი



შპს აჭარა.ქომ

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019*
ამონაგები მომსახურებიდან	5	9,689	460
სხვა შემოსავალი	6	46	-
სულ ამონაგები		9,735	460
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,375)	(2,964)
თანამშრომელთა სარგებელი	7	(3,335)	(1,466)
შემენილი მომსახურება	8	(857)	(212)
საიჯარო ხარჯები		(339)	(120)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები		(267)	(112)
სხვა ხარჯები		(97)	(110)
საოპერაციო ზარალი		(1,535)	(4,524)
ფინანსური ხარჯი	9	(680)	(328)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(1,065)	151
ზარალი დაბეგვრამდე		(3,280)	(4,701)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(3,280)	(4,701)

*2019 წლის 31 ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 3 ივნისს:

გიორგი ფრუიძე
დირექტორი

შპს აჭარა.ქომ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	475	556
არამატერიალური აქტივები	11	3,852	2,775
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,327	3,331
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		3	2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	755	668
ფული და ფულის ექვივალენტები	13	30	133
სულ მიმდინარე აქტივები		788	803
სულ აქტივები		5,115	4,134
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	3,394	2,830
დაუფარავი ზარალი	14	(7,981)	(4,701)
სულ კაპიტალი		(4,587)	(1,871)
გრძელვადიანი სესხები	15	7,215	5,466
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,215	5,466
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	16	497	102
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	15	30	20
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,960	417
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,487	539
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,115	4,134

*ჯგუფი დაარსდა, 2019 წლის 31 ივლისს.

შპს აჭარა.ქომ

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,830	-	2,830
მიმდინარე წლის სრული ზარალი*	-	(4,701)	(4,701)
31 დეკემბერი 2019	2,830	(4,701)	(1,871)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	564	-	564
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(3,280)	(3,280)
31 დეკემბერი 2020	3,394	(7,981)	(4,587)

*2019 წლის 31 ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

შპს აჭარა.ქომ

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2020	2019*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრები	12,668	37
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,806)	(618)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,389)	(1,072)
გადახდილი გადასახადები	(1,880)	(152)
გადახდილი პროცენტები	(669)	(308)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,924	(2,113)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(94)	(625)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(6,779)	(5,544)
შვილობილი საწარმოს შეძენა	-	(5)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	564	2,835
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(6,309)	(3,339)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხიდან მიღებული ფულადი სახსრები	487	5,594
სესხის დაფარვა	(168)	
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	319	5,594
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის და ფულადი ექვივალენტების	(66)	142
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	133	-
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(37)	(9)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	30	133

*2019 წლის 31 ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „აჭარა.ქომ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2019 წლის 31 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404582055.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატელევიზიო პროგრამების შექმნა და სპეციალიზებული სპორტული აქტივობების ტრანსლირება. ჯგუფი სპორტული აქტივობებისა და პროგრამების ტრანსლირებას ახორციელებს საიტის- www.adjara.com-ის საშუალებით.

სპორტული ღონისძიებები მოიცავს საფეხბურთო ჩემპიონატებს (ინგლისის პრემიერლიგა, ინგლისის თასი, გერმანიის თასი, ესპანეთის თასი, ავსტრიის ბუნდესლიგა და ა.შ), ჩოგბურთის ტურნირებს (WTA, ATP), და UFC.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. მშობელი კომპანიის იურიდიულ მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, სართული 15.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა შპს „შპს სითი ლოგისტიკა“. საბოლოო მაკონტროლებელს წარმოადგენს თეიმურაზ უგულავა.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილს წარმოადგენს შემდეგი საწარმო (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2020	2019
შპს „აჭარასპორტ.ტვ“	ტელემაუწყებლობა	100%	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტელემაუწყებლობა კერძოდ კი, სპეციალიზებული სპორტული აქტივობების ტრანსლირება. კომპანია სპორტულ ტელემაუწყებლობას ახორციელებს არხების AdjaraSport1 და AdjaraSport2-ის მეშვეობით.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

2020 წლის პირველ თვეებში ჩინეთში წარმოშობილი ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების, COVID-19, გავრცელება დაიწყო გლობალურად, რაც აფერხებს ბიზნესსა და ეკონომიკურ აქტივობას. 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მას პანდემიის სტატუსი მიანიჭა. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე მსოფლიო მასშტაბით, შემცირდა კაპიტალის ბაზრები და მნიშვნელოვნად შემცირდა საქონლის ფასები.

2020 წლის მარტში მსოფლიო მასშტაბით მთავრობების უმეტესობამ დააწესეს სხვადასხვა სახის შეზღუდვები ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. უმეტესწილად ეს იყო კარანტინის სახის შეზღუდვები, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტის შეზღუდვა, გარკვეულ ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა, საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების შეზღუდვა, საჯარო სივრცეების უმეტესობის დახურვა, მათ შორის შეიძლება სპორტული აქტივობები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა გლობალური შეზღუდვების გამო ტურნირების ნაწილი გაუქმდა ან გადაიდო, თუმცა ამის გამო კომპანიას არ დაუკარგავს ამ ტურნირების ჩვენების უფლება.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, მენეჯმენტმა გამოიყენა მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები.

მენეჯმენტის პოზიცია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მეოთხე შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2020	3.2766	4.0233
31 დეკემბერი 2019	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვის აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯი გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა	2-5
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	2-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს ჩვენების უფლებებს და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ჩვენების უფლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს, დეტალური მსჯელობა თუ როდის ხდება კონტროლის მოპოვება და შესაბამისი აქტივის აღიარება მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივის ამორტიზირების ვადად განსაზღვრულია 10 წელი. სპორტული აქტივობების ჩვენების უფლებას ამორტიზაცია ერიცხება აქტივის მოსალოდნელი გამოყენების მეთოდით. კერძოდ, ამორტიზაცია განისაზღვრება ფაქტიურად გასული ტურების/ეტაპების მიხედვით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ჩვენების უფლება	გასული ტურები/ეტაპების მიხედვით
სხვა არამატერიალური აქტივები	6-10

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან ჯგუფი მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ჯგუფი ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც ჯგუფი რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

ჯგუფის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სპონსორობის მომსახურება და საეთერო ბადის მიწოდება კლიენტებისთვის. აქედან მიღებული შემოსავალი აღიარდება მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ინფორმაციის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო

ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს აკუმულირებული ზარალი 7,981 ლარის ოდენობით. საქმიანობის დაფინანსების ძირითადი წყაროებია ჯგუფის ოპერაციები, მფლობელების მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში და ბანკის სესხები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ამასთან ერთად კორონავირუსის გავრცელებამ შეაფერხა ბიზნესი და ეკონომიკური აქტივობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გადაიდო და გაუქმდა მნიშვნელოვანი სპორტული ჩემპიონატები. თუმცა გადადებული ჩემპიონატები სრულად ჩატარდა 2020 წლის მეორე ნახევარში, ხოლო გაუქმებული ჩემპიონატების ჩვენების უფლება მომავალ წელს შენარჩუნებულ იქნა ჯგუფის მიერ.

2020 წელი წარმოადგენს ჯგუფის პირველ სრულ საანგარიშგებო წელს. შესაბამისად საწყის ეტაპზევე აქვს მნიშვნელოვანი ფიქსირებული ხარჯები, შემოსავალი მიყვება ზრდად ტრენდს, თუმცა ჯერ შესაბამისობაში არ არის გაწეულ ხარჯებთან. როგორც საანგარიშგებო, ასევე ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში ჯგუფის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობდა ბიზნესის განვითარებაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს სარეკლამო შემოსავლის ზრდა და ხანგრძლივ პერიოდში ზარალის დაფარვა.

2021 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფმა შპს „სეტანტა ჯორჯიასგან“ შეიძინა აქტივები და აიღო ვალდებულებები. ოპერაციის შედეგად ჯგუფმა მიიღო უფლება სეტანტა ჯორჯიას და სეტანტა ჯორჯია+-ის არხების საშუალებით მოახდინოს სპორტული ღონისძიებების ტრანსლირება. აღნიშნული ოპერაცია სრულად იყო დაფინანსებული მფლობელის მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანებით. აღნიშნული ოპერაციის შედეგად ჯგუფი შეძლებს, მომავალი ფულადი ნაკადების გენერირებას, დამატებითი ვალდებულებების გარეშე რაც დადებითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე.

როგორც ეს მე-11 შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფს მიღებული აქვს ლიცენზიები სამომავლო პერიოდში ტურნირების, ტრანსლირებასთან დაკავშირებით და ასევე გაფორმებული აქვს შესაბამისი გრძელვადიანი სპონსორობის კონტრაქტი.

ამასთან ერთად, მშობელი კომპანია მზადაა ფინანსური სირთულეების შემთხვევაში ჯგუფი უზრუნველყოს ფინანსური დახმარებით, იმ მიზნით რომ შესაძლებელი იყოს ჯგუფის შეუფერხელი ფუნქციონირება.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე ხარჯი. საექვო მოთხოვნების რეზერვის შესაფასებლად ჯგუფმა გამოიყენა ინდივიდუალური შეფასების მოდგომა, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება იყო მიმდინარე, გაუფასურების ნიშნების გარეშე.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ დასჭირვებია მნიშვნელოვანი შეფასების გაკეთება საგადასახადო პრაქტიკის შეფასებისთვის.

5. ამონაგები მომსახურებიდან

	2020	2019
სპონსორობის მომსახურება	6,654	43
პროვაიდერებისგან მიღებული შემოსავალი	2,809	337
სარეკლამო მომსახურება	203	80
გადაცემის ტექნიკური მხარდაჭერა და ტრანსლირება	23	-
სულ ამონაგები მომსახურებიდან	9,689	460

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი სრულად უკავშირდება პანდემიის შედეგად დადგენილი საშემოსავლო შეღავათს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. თანამშრომელთა სარგებელი

	2020	2019
ხელფასები	(3,230)	(1,399)
საპენსიო ფონდი	(58)	(26)
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	(37)	(9)
სხვა სარგებელი	(10)	(32)
სულ თანამშრომელთა სარგებელი	(3,335)	(1,466)

8. შეძენილი მომსახურება

	2020	2019
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(487)	(20)
კოლოკაციის ხარჯი	(125)	(103)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(77)	-
კომუნალური ხარჯები	(60)	(31)
საიტების მომსახურების ხარჯები	(45)	(21)
სააბონენტო გადასახადი	(27)	(24)
გახმოვანების ხარჯი	(21)	(8)
ტრენინგების ხარჯი	(11)	(5)
სხვა მომსახურებები	(4)	-
სულ შეძენილი მომსახურება	(857)	(212)

9. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი დაწესებულებისგან აღებულ სესხზე	(408)	(152)
ფინანსური ხარჯი საბანკო გარანტიებზე	(272)	(176)
სულ ფინანსური ხარჯი	(680)	(328)

შპს აჭარა.ქომ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

	სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2019	-	-	-	-
შემოსვლა	512	40	39	591
გასვლა/ჩამოწერა	(1)	-	-	(1)
31 დეკემბერი 2019	511	40	39	590
შემოსვლა	71	29	-	100
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	582	69	39	690
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2019	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(29)	(3)	(2)	(34)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(29)	(3)	(2)	(34)
ცვეთის ხარჯი	(154)	(19)	(8)	(181)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(183)	(22)	(10)	(215)
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2019	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	482	37	37	556
31 დეკემბერი 2020	399	47	29	475

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული როგორც საოფისე ფართი, ასევე სამაუწყებლო საქმიანობისათვის საჭირო აღჭურვილობა.

11. არამატერიალური აქტივები

	ჩვენების უფლება	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ არამატერიალური აქტივები
1 იანვარი 2019	-	-	-
შემოსვლა	5,694	11	5,705
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	5,694	11	5,705
შემოსვლა	7,367	16	7,383
გასვლა/ჩამოწერა	(113)	-	(113)
31 დეკემბერი 2020	12,948	27	12,975
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 იანვარი 2019	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(2,930)	-	(2,930)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(2,930)	-	(2,930)
ცვეთის ხარჯი	(6,192)	(1)	(6,193)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(9,122)	(1)	(9,123)
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2019	-	-	-
31 დეკემბერი 2019	2,764	11	2,775
31 დეკემბერი 2020	3,826	26	3,852

ჯგუფს მოპოვებული აქვს შემდეგი სპორტული ღონისძიებების ოფიციალური ტრანსლირების უფლება: ინგლისის პრემიერლიგა, ინგლისის თასი, გერმანიის თასი, ესპანეთის თასი, ავსტრიის ბუნდესლიგა, ჩოგბურთის ტურნირები (WTA, ATP), და UFC.

ჯგუფს მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ოფიციალური ტრანსლირების უფლება მოპოვებული აქვს 2021, 2022 და 2023 წლების შესაბამის სეზონებზე, თუმცა აღნიშნული აქტივები და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები არ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. აქტივის და შესაბამისი ვალდებულების აღიარება უნდა მოხდეს, როდესაც კომპანია აკონტროლებს მოცემულ აქტივს. კონტროლის მოპოვების თარიღის დადგენა დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე. კერძოდ, კონტროლის იდენტიფიცირებისთვის რელევანტური ფაქტორებია:

- 1) არის თუ არა მოცემული აქტივი მკაფიოდ იდენტიფიცირებადი;
- 2) აქვს თუ არა ჯგუფს მოპოვებული მაუწყებლობის ექსკლუზიური, იურიდიული უფლება.
- 3) სავარაუდოა თუ არა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიება ჩატარდება.
- 4) მოსალოდნელია თუ არა მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა

იმის დასადგენად რომ სპორტული აქტივობის ჩვენების უფლება არის იდენტიფიცირებადი განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები: სპორტული აქტივობის ჩატარების ადგილი, მონაწილეთა ვინაობა და რაოდენობა, ტურების/თამაშების დროულობა.

ექსკლუზიურობის განსაზღვრისთვის ჯგუფი ხელმძღვანელობს ხელშეკრულებით, სადაც განსაზღვრულია სპორტული აქტივობის პერიოდი და ჩვენების გეოგრაფიული არეალი.

შპს აჭარა.ქომ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ზემოთ მოცემული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ ჯგუფი აღიარებს შესაბამის აქტივს და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას.

ჩვენების უფლებასთან დაკავშირებული სამომავლო გადახდები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვალდებულებები	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	ჯამი
სავაჭრო ვალდებულებები	8,081	463	8,544

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გადახდილი ავანსები	616	474
სავაჭრო მოთხოვნები	173	228
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	789	702
ანარიცხი უიმედო და საექვო ავანსებზე	(34)	(34)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	755	668

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(34)	-
მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	-	(34)
ნაშთი წლის ბოლოს	(34)	(34)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება იყო მიმდინარე, გაუფასურების ნიშნების გარეშე.

13. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	10	118
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	20	15
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	30	133

14. კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ ზარალს.

საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3,394 ლარს, რომლის შევსება განხორციელდა 2019 და 2020 წელს. 2020 და 2019 წლის განმავლობაში ჯგუფს დივიდენდი არ გაუნაწილებია.

15. გრძელვადიანი სესხები

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

სესხის გამცემი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები სახსრები	ევრო	7.0%-7.50%	2022	7,245	5,486

ბანკებისგან მიღებული სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს ტრანსლაციის ლიცენზიის ღირებულების ფინანსირება. მიღებული სესხები უზრუნველყოფილია მშობელი კომპანიის თავდებობით.

აღნიშნული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში ჯგუფს დაევალა გარკვეული ფინანსური და არაფინანსური პირობების დაკმაყოფილება.

მნიშვნელოვანი ფინანსური კოვენანტები წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალდებულება	სტატუსი
Debt to EBITDA <3.0	დაკმაყოფილებულია
DSCR (P&L Based) > 1.3x	დაკმაყოფილებულია
DSCR (CFASDS Based) > 1.05x.	დაკმაყოფილებულია
ICR > 3.0x	დაკმაყოფილებულია

16. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიღებული ავანსები	1,176	-
სავაჭრო ვალდებულებები	715	403
სხვა ვალდებულებები	69	14
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,960	417

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

ვალდებულებების შესრულება. ჯგუფს გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ბანკის სესხებთან. ასეთი ვალდებულებების შესრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორის, სესხის ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანია ანგარიშგების თარიღისთვის სრულად აკმაყოფილებს აღებულ ვალდებულებებს.

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარესთან არსებული ნაშთები

	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	48	48
მიღებული ავანსები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,176	-

დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები

	კავშირის სახე	2020	2019
სპონსორობის მომსახურება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	6,523	-
სარეკლამო მომსახურება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	203	68
გადაცემის ტექნიკური მხარდაჭერა და ტრანსლირება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	23	-

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2020	2019
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	254	98

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს „აჭარა.ქომ“-მა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი უფლებების გადაცემის შესახებ 2021 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შპს „სეტანტა ჯორჯიასგან“ შეიძინა აქტივები და აიღო ვალდებულებები. ოპერაციის შედეგად ჯგუფმა მიიღო უფლება სეტანტა ჯორჯიას და სეტანტა ჯორჯია+-ის არხების საშუალებით მოახდინოს სპორტული ღონისძიებების ტრანსლირება.

შპს „აჭარა.ქომ“

**კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „აჭარა.ქომ“ რომელიც არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მისი შვილობილი კომპანია (შემდგომში „ჯგუფი“) რომლებიც ასევე არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსებული არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „აჭარა.ქომ“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2019 წელს.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს აჭარა.ქომ“-ის მესაკუთრე არის შპს „სითი ლოფტი“.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს აჭარა.ქომ“-ის დირექტორი იყო გიორგი ფრუძე.

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატელევიზიო პროგრამების შექმნა და სპეციალიზებული სპორტული აქტივობების ტრანსლირება. ჯგუფი სპორტული აქტივობებისა და პროგრამების ტრანსლირებას ახორციელებს საიტის- www.adjara.com-ის და არხების Adjarasport1 და Adjarasport2-ის მეშვეობით.

სპორტული ღონისძიებები მოიცავს საფეხბურთო ჩემპიონატებს (ინგლისის პრემიერლიგა, ინგლისის თასი, გერმანიის თასი, ესპანეთის თასი, ავსტრიის ბუნდესლიგა და ა.შ), ჩოგბურთის ტურნირებს (WTA, ATP), და UFC.

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ჯგუფის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის სპონსორობის მომსახურებიდან, რომელიც სრული შემოსავლის 73%-ს აგენერირებს. სპონსორობის მომსახურება გულისხმობს, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მომსახურების მიმღები წარმოადგენს სპონსორს/პარტნიორს გარკვეული მატჩების თამაშების და ჩემპიონატების, რომლებზეც ჯგუფმა მიიღო შესაბამისი ლიცენზია.

ამონაგები მომსახურების მიხედვით:

პროდუქციის სახეობა	2020	2019	ცვლილება %
სპონსორობის მომსახურება	6,654	43	15374 %
პროვადერებისგან მიღებული შემოსავალი	2,809	337	834%
სარეკლამო მომსახურება	203	80	254%
გადაცემის ტექნიკური მხარდაჭერა და ტრანსლირება	23	-	-
სულ ამონაგები მომსახურებიდან	9,689	460	

ჯგუფის სტრუქტურა.

საზოგადოების მმართველობის ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება.

ჯგუფის დირექტორი ჯგუფის დაარსებიდან ანგარიშგების მომზადებამდე არის გიორგი ფრუძე.

წესდების მიხედვით პარტნიორთა კრება ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

შპს „აჭარა.ქომ“ თავის მხრივ ფლობს წილს შემდეგ კომპანიაში:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი
შპს "აჭარასპორტ.ტვ"	ტელე მაუწყებლობა	100%

მშობელი კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად არის ჩართული შვილობილის როგორც სტრატეგიული ასევე მოკლევადიანი საოპერაციო მიზნების ჩამოყალიბება-იმპლემენტაციის პროცესში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**ფინანსური მაჩვენებლები**

2020 წლის შემოსავალმა შეადგინა 9,689 ათასი ლარი, ჯგუფის შემოსავლები 2020 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2000%-ზე მეტით, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ჯგუფი დაარსებულია 2019 წლის მეორე ნახევარში და ძირითადი ხელშეკრულებები გაფორმებულია 2020 წლიდან.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2020	2019
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.32	1.49
სულ აქტივები	5,115	4,134
სულ შემოსავლები	9,689	460
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი	88	81

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „აჭარა.ქომ“-ის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 83 დან 93-მდე. ჯგუფში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 88-ს (2019-81), ვინაიდან დედა კომპანია სრულად უზრუნველყოფს შვილობილი კომპანიას საკონსულტაციო მომსახურებით. ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

ჯგუფი, როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიან სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ჯგუფის ძირითადი მომწოდებლები არიან არარეზიდენტი კომპანიები, რომლებიც ჯგუფს აწვდიან სპორტული ღონისძიებების ტრანსლირების ლიცენზიას.

- Real Federacion Espanola De Futbol
- ATP TOUR inc and ATP MEDIA OPERATIONS LIMITED
- Dazn Media Chanells limited
- Saran Media International LTD
- Sportradar
- IMG Media Limited
- Media Telecom LLC
- Group One Holding Pte. LTD

ჯგუფის ტელეარხები საქართველოში ხელმისაწვდომია შემდეგ სატელევიზიო ოპერატორებთან:

- მაგთის IP ტელევიზია
- Silk TV
- D +

ჯგუფის ძირითად კლიენტს წარმოადგენს შპს ავიატორი, რომელიც სპონსორობის ხელშეკრულების ფარგლებში ჯგუფის მიერ შეძენილი ყველა სპორტული ღონისძიების გენერალური სპონსორია.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, შვილობილი კომპანია შპს აჭარასპორტ.ტვ მოქმედებს დამატებითი რეგულირების ქვეშ. ინდუსტრიაში მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ „საქართველოს

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომუნიკაციების ეროვნული კომისია“, სექტორის რეგულირება ხდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონი კომპანიას უწესებს გარკვეულ ვალდებულებებს, როგორცაა პროგრამული და ასაკობრივი შეზღუდვები, რეკლამის და პროგრამაში პროდუქტის განთავსების წესები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე კანონით გათვალისწინებულ სანქციებს. სანქციის მაქსიმალურ ზომას წარმოადგენს ავტორიზაციის შეჩერება. უკიდურესი ზომის გამოყენება კანონის თანახმად შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ რაც დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა. ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, ჯგუფის მიმართ არ არის გამოყენებული კანონით გათვალისწინებული არცერთი სანქცია. ინფორმაცია სანქციების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომია კომუნიკაციების კომისიის საიტზე (<https://comcom.ge/>).

მაუწყებლები არიან რეგულირების საფასურის გადამხდელები. რეგულირების საფასურის ოდენობაა მაუწყებლის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი. რეგულირების საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში მაუწყებელთა შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე. მაუწყებლები ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის ანგარიშზე ჩარიცხონ რეგულირების საფასური და კომისიას წარუდგინონ ინფორმაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

შპს „აჭარა.ქომ“-მა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი უფლებების გადაცემის შესახებ 2021 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შპს „სეტანტა ჯორჯიასგან“ შეიძინა აქტივები და აიღო ვალდებულებები. ოპერაციის შედეგად ჯგუფმა მიიღო უფლება სეტანტა ჯორჯიას და სეტანტა ჯორჯია+-ის არხების საშუალებით მოახდინოს სპორტული ღონისძიებების ტრანსლირება.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2020	2019	გადახრის ახსნა
სულ შემოსავალი	9,735	460	შენიშვნა 1
მთლიანი აქტივები	5,115	4,134	შენიშვნა 2
სესხები	7,245	5,486	შენიშვნა 3

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)**შენიშვნა #1:**

შემოსავლის ზრდა გამოწვეული იმ ფაქტით, რომ ჯგუფი დაარსებულია 2019 წლის მეორე ნახევარში და ძირითადი სპონსორობის მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია 2020 წლიდან.

შენიშვნა #2:

აქტივების ზრდა უკავშირდება ჯგუფის მიერ წლის განმავლობაში ოფიციალური ტრანსლირების ლიცენზიების შეძენას. კომპანიამ 2020 წელს შეიძინა შემდეგი სპორტული აქტივობების ჩვენების ტრანსლირების უფლება:

- UFC
- APT 250
- WTA
- Premier League
- Copa del Rey
- Spanish Super Cup

შენიშვნა #3:

2020 წელს სასესიო ვალდებულებების ზრდა გამოწვეულია ჯგუფის მიერ ახალი საბანკო სესხის აღებით, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენდა არამატერიალური აქტივების, კერძოდ კი ლიცენზიების დაფინანსება.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2020	2019
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.9	17.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,275	4,763.5
მშპ-ის რეალური ზრდა, %	(6.2%)	5.1%
საშუალო წლიური ინფლაცია	5.2%	3.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	616.9	1,267.7
უმუშევრობის დონე, %	18.5%	11.6%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული რამდენიმე მსხვილ კონტრაგენტზე. ჯგუფი კომპანიებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და

შპს აჭარა.ქომ

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ჯგუფის შესაბამის პოლიტიკაზე. ჯგუფში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში, რადგან შესასყიდი ლიცენზიების ღირებულება უცხოურ მომწოდებლებთან განისაზღვრება ვალუტაში. გამომდინარე იქიდან, რომ მომსახურების რეალიზაციას ჯგუფი ახორციელებს ვალუტაში კომპანიისთვის სავალუტო რისკი მიჩნეულია უმნიშვნელო ბიზნეს რისკად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 3 ივნისს:


გიორგი ფრუიძე
დირექტორი



7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ჯგუფის შესაბამის პოლიტიკაზე. ჯგუფში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტული ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში, რადგან შესასყიდი ლიცენზიების ღირებულება უცხოურ მომწოდებლებთან განისაზღვრება ვალუტაში. გამომდინარე იქიდან, რომ მომსახურების რეალიზაციას ჯგუფი ახორციელებს ვალუტაში კომპანიისთვის სავალუტო რისკი მიჩნეულია უმნიშვნელო ბიზნეს რისკად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 3 ივნისს:

გიორგი ფრუიძე
დირექტორი